პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № .....

29 ივლისი, 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა
რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების
განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე-20 სხდომის გადაწყვეტილების
ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე მუხლის 2^2 პუნქტის, 30^1 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე-20 სხდომის შემდეგი გადაწყვეტილება:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები.

მუხლი 2. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა** კომისიაში - საკრებულოს 10 წევრი;
2. საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო** კომისიაში - საკრებულოს 11 წევრი;
3. საკრებულოს **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის** კომისიაში - საკრებულოს 11 წევრი;
4. საკრებულოს **კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის** კომისიაში - საკრებულოს 10 წევრი;
5. საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიაში - საკრებულოს 8 წევრი.

მუხლი 3. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ქართული ოცნების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა ფრაქციის 16 წევრისათვის - 32) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 7 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 7 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 7 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 6 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 5 წევრის ოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ხალხის ძალის"** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა ფრაქციის 3 წევრისათვის - 6) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით.

მუხლი 5. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების"** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა ფრაქციის 3 წევრისათვის - 6) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან საკრებულოს არცერთ ფრაქციაში (კვოტების რაოდენობა საკრებულოს 3 წევრისათვის - 6) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

4 საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით.".

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის №44 განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 8 დეკემბრის მე-4 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე".

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის-სამდივნო ანყოფილების უფროსი

ჯ.ბიბილეიშვილი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე-20 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე-20 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების მიღება განპირობებულია საკრებულოს ფრაქციებში: „ქართულ ოცნებასა“ და „ევროპელ სოციალისტებში“ განხორციელებული ცვლილებებით.

2. განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საკრებულოს ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე, საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულო, ხოლო, შემდეგ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წარდგინებით - საკრებულოს ბიურო.

მ/წლის 10 ივლისს, საკრებულოს ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ განსაზღვრული და წარდგენილი კვოტები დაამტკიცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-20 სხდომამ. გამომდინარე იქედან, რომ ამავდროულად ძალაშია იმავე თემატიკის საკრებულოს განკარგულება, მიზანშეწონილია, საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღოს საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე-20 სხდომის გადაწყვეტილება ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის №44 განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 8 დეკემბრის მე-4 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე“. აღნიშნულით, საკრებულოს ბიუროს საოქმო გადაწყვეტილება და საკრებულოს ინდივიდულური სამართლებრივი აქტი - საკრებულოს განკარგულება შესაბამისობაში იქნება ერთმანეთთან.

3. განკარგულების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

წინამდებარე განკარგულების მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობაზე.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ჭიღვარია.

5. განკარგულების პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტი მოამზადა საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა-სამდივნო განყოფილების უფროსმა ცაგური პატარიძემ.

6. განკარგულების პროექტის წარმომდგენი საკრებულოს სხდომაზე:

საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბიბილეიშვილი.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო
განყოფილების უფროსი

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი